პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

22 აგვისტო, სამშაბათი, 1989 წ.
№ 162 (10 081) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიდრე დავადგენდეთ...

ამ დღეებში საკავშირო და რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა პროექტი: „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში" (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმა). ასეთი დოკუმენტები, რომლებსაც წინასწარ აქვეყნებენ ფართო საზოგადოებრიობისათვის გასაცნობად, ყოველთვის იწვევს საერთო დაინტერესებას. მით უფრო, რომ საქმე ეხება სსრ კავშირში ეროვნულ პოლიტიკას, რომელსაც საგანგებოდ განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმზე. ყველა დარგისა და სფეროს წარმომადგენლები ასეთ დოკუმენტში გარდა საერთოსი, სათავისო საკითხებს ეძებენ და ეს ბუნებრივიცაა. აი, აქ კი ბევრი რამ ახლებურადაა წარმოჩენილი, იგრძნობა პროგრესი, მაგრამ ყველაფერი ნათლად როდი ჩანს და იკითხება. ბევრი რამ კონკრეტულია, ზოგჯერ კი ქვეტექსტებიდან ჭირს არაბუნდოვანი აზრის გამოტანა, სრული სიცხადე კი ასეთ საქმეში აუცილებელია, რომ შემდგომში საკითხები კვლავ საორჭოფოდ არ დარჩეს. ახლა ამაზე დაფიქრებისა და საკუთარი აზრის გამოთქმის დრო დადგა.

პროექტი ჯერ განხილვის სტადიაშია და გადაჭრით ჩვენც ვერაფერს ვიტყვით, არავინ იცის, რა დაემატება მას და რა გამოაკლდება, როგორ სახეს მიიღებს საბოლოოდ, ან იქნებ ყველაფერი ეს მხოლოდ დღევანდელ ვითარებას უპასუხებს და არა ხვალინდელს, მოვლენები ხომ ასე სწრაფად იცვლება.

საქართველოს სრული სპორტული სუვერენიტეტის გეზი კარგა ხანია შემუშავებულია და დღეს იგი ლიტონ სიტყვებად არ რჩება — „ლელოს" მკითხველებმა კარგად იციან იმ პრაქტიკული საქმიანობის შესახებ, რაც ამ გზის მოთხოვნებსა და მიმართულებებს შეესაბამება. უდავოა, განსახილველ პროექტთან დაკავშირებით ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტებს, სპორტსმენებს, სპორტის გულშემატკივრებსა და, უბრალოდ, ჩვენს მკითხველებსაც ექნებათ თავიანთი შენიშვნები და მოსაზრებები. მოგვწერეთ. ის, რაზეც დღეს ვმსჯელობთ, ხვალ ალბათ კანონად უნდა იქცეს, კანონი კი, ვიდრე იგი ცხოვრებაზე ზეგავლენისა და მოქმედების სრულ უფლებას მოიპოვებდეს, ფრთხილ და გონივრულ მიდგომას მოითხოვს.

ველით თქვენს წინადადებებს.

### ინფორმაცია

**მონრეალი.** მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ჩეხოსლოვაკიელმა ივან ლენდლმა თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში მე-80 ტურნირი მოიგო. ეს კანადის იმ ქალაქში მოხდა, სადაც იგი გადამწყვეტ მატჩში ძველ მეტოქეს, ამერიკელ მაკინროის შეხვდა და გაიმარჯვა — 6:1, 6:3.

### წოდების მინიჭება

**ორიოდე** დღის წინ სროლის საერთაშორისო კავშირმა (ფიტა) მიუნხენში ტყვიის სროლაში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა საქართველოს სამ სპეციალისტს: **გივი ბოსტოღანაშვილს, ალბერტ ავეტისიანს, ედუარდ მიტინიანს.**

# კიდევ ერთი ევროპის ჩემპიონი — გიორგი ჩოგოვაძე

**ბონი.** წყლის სპორტის სახეობებში აქ დამთავრებული ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ბოლო ოქროს მედალი თბილისელმა წყალში მხტომელმა გიორგი ჩოგოვაძემ მოიპოვა. უმაღლესი ჯილდოსთვის ბრძოლა, ტრადიციულად, თბილისელ მხტომელსა და გდრ-ის წარმომადგენელს იან ჰემპელს შორის მიმდინარეობდა, მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვათ, ბრძოლა ამჯერად არც ყოფილა. ჩოგოვაძის უპირატესობა აშკარა იყო პირველივე ფინალური ხტომის შემდეგ, ბოლოს კი სხვაობამ ქულებში თითქმის 50-ს მიაღწია. მსგავსი უპირატესობით ტურნირს მხოლოდ ღირსეული ჩემპიონები იგებენ. გიორგი ჩოგოვაძე კონტინენტის ასეთი ჩემპიონი გახლავთ.

იტალიის ნაკრების უფროსი მწვრთნელის, წარსულში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი წყალში მხტომელის კლაუს დიბიასის აზრით „ეს იყო უმაღლესი სტანდარტების შესატყვისი გამოსვლა. ჩემპიონატზე ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა არა მარტო ჩოგოვაძემ, არამედ მთლიანად საბჭოთა ნაკრებმა. ჩემის აზრით ამერიკისა და ჩინეთის მხტომელებს მომავალში გაუჭირდებათ საბჭოთა სპორტსმენების დამარცხება. ყოველ შემთხვევაში ძალები ახლა მთლიანად გათანაბრდა."

დაახლოებით ანალოგიური აზრი გამოთქვა ჩვენი სინქრონისტების გამოსვლებზე სინქრონული ცურვის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჯუდი მაკგოვანმა (აშშ). მან კონკრეტულად თქვა: „ორი ვერცხლის მედალი, რომელიც საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს, განსაკუთრებით კი თბილისელი ხრისტინა ფალასინიდის ოქროს მედალი სოლო გამოსვლებში მოწმობს იმას, რომ საბჭოთა კავშირში უმაღლესი კლასის სპორტსმენთა დაოსტატება სწორი და არატრადიციული გზით მიდის. ფალასინიდი ამ ტურნირის აღმოჩენა და ამავე დროს ღირსეული ჩემპიონი იყო".

სხვათა შორის, ჩემპიონატში მედლების ყველაზე დიდი რაოდენობა სწორედ წყალში მხტომელებმა და სინქრონული ცურვის მონაწილეებმა მოიპოვეს. ამას, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით მოცურავეებზე, რომლებსაც საბოლოო ჯამში მხოლოდ ორი უმაღლესი ჯილდო დარჩათ.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა სპორტსმენებმა ოთხივე სახეობის ჯამში მეორე ადგილი დაიკავეს. აი როგორ განაწილდა მედლები ქვეყნებს შორის:

| | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| გდრ | 16 | 11 | 11 | 38 |
| სსრ კავშირი | 6 | 10 | 6 | 22 |
| საფრანგეთი | 4 | 4 | 1 | 9 |
| იტალია | 4 | 1 | 6 | 11 |
| უნგრეთი | 3 | 4 | 1 | 8 |
| გფრ | 3 | 3 | 3 | 9 |

სტატისტიკოსები აღნიშნავენ, რომ წლეულს საბჭოთა სპორტსმენები ოდნავ უკეთ გამოვიდნენ, ვიდრე ორი წლის წინ სტრასბურგში. იქ მათ ჰქონდათ 6 ოქროს, 9 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი.

ევროპის მორიგი ჩემპიონატი, როგორც ცნობილია, 2 წლის შემდეგ გაიმართება ათენში. მანამდე კი ცურვის სახეობათა ოსტატები შეიკრიბებიან მსოფლიო ჩემპიონატში სააsპარეზოდ. ეს ტურნირი ავსტრალიის ქალაქ პერტში ჩატარდება.



ევროპის 1989 წლის ჩემპიონი წყალში ხტომაში, თბილისელი გიორგი ჩოგოვაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



კასპის რაიონის სოფელ სოვლეს მცხოვრებთათვის ქართული ჭიდაობის ზეიმი უცხო ხილი არ არის, მაგრამ გასულ შაბათს გამართული საინტერესო ტურნირის სიახლე ის იყო, რომ მას ესწრებოდნენ თურქეთიდან ჩამოსული ჩვენი თანამემამულეები. დღეს გთავაზობთ შეჯიბრების ფრაგმენტს, ხოლო მასალას უახლოეს ნომერში გამოვაქვეყნებთ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

**ბუენოს-აირესი.** არგენტინის დედაქალაქი გაისად კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. უკვე დაზუსტდა ტურნირის თარიღები: 8–19 აგვისტო, ამასთან, წინასწარი შეხვედრები ბუენოს-აირესის გარდა გაიმართება როსარიოში, კორდობასა და ბაჰია-ბლანკაში.

**ოტავა.** კანადის მრავალდღიან ველორბოლაში ცხრა ეტაპის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო გორკელმა ანდრეი სიტნოვმა, რომელსაც 10 წამით ჩამორჩება ამერიკელი სკოტ მონიგერი.

**რალენგენი** (ნორვეგია). აქ გამართულ თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელთა საერთაშორისო ტურნირში (ხელოვნურსაფარიან სარბიელზე) გამარჯვება მოიპოვა ცნობილმა ფინელმა მოთხილამურემ მატი ნიუკიანენმა (88,5 მ. და 88,5 მ.). მეორე ადგილი წილად ხვდა 18 წლის ნორვეგიელ რუნე ოლინიუკს.

**ციურიხი.** პროფესიონალ ველოსიპედისტთა მრავალდღიანი რბოლის მეცხრე ეტაპი კანადელმა სტივ ბაუერმა მოიგო. მან 225,5 კმ. 6:45.11 წამში დაფარა.

**ბონი.** კიოლნის სარბიელზე „გრან-პრის" ეგიდით გამართული მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობა დაამშვენა 3.000-მეტრზე რბენაში დამყარებულმა რეკორდმა, რომელიც ამიერიდან 7.29,46 წამს უდრის და ცნობილ მაროკოელ სპორტსმენს საიდ აუიტას ეკუთვნის. კენიელ ჰენრი რონის ძველი, 11 წლის წინანდელი მიღწევა უდრიდა — 7.32,1, რომელიც ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში დამყარდა. კიოლნში საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ საბჭოთა სპორტსმენებს. მოსკოველი გალინა ჩისტიაკოვა 671 სმ. სიგრძეზე გადახტა და გაიმარჯვა, მისი თანამოქალაქე სვეტლანა ტიტოვა პირველი მივიდა 1.500 მეტრიანი რბენის ფინიშზე. ტაშკენტელმა ჭოკით მხტომელმა როდიონ გატაულინმა გაიმარჯვა შედეგით 581 სმ, ხოლო მოსკოველი ნატალია ლისოვსკაიას ბირთვმა 2[illegible] მ და 50 სმ-ზე „იფრინა", ულიანოვსკელი ვლადიმერ [illegible] სამე იყო 100 მე[illegible] რბენაში.

ტელეტაიპი — მკითხველს

ვინ მოყვარესა არ ეძებს...

# ქუთაისელები კვლავაც მაგალითს იძლევიან

რაგბი: გზა წინსვლისა

**დღეს, როცა დღის წესრიგში მთელი სერიოზულობით დადგა საქართველოს სპორტული სუვერენიტეტის საკითხი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სპორტის მესვეურთა პირად თვისებებსაც — ინიციატივიანობას, კომუნიკაბელურობას, გამბედაობას, ტაქტსა და საზრიანობას. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ მხრივ ბოლო დროს ერთობ გამოიჩინეს თავი ქართველ მორაგბეთა თავკაცებმა. მათ შორის, რასაკვირველია, ქალაქ ქუთაისის სარაგბო საზოგადოებრიობის წინამძღოლებიც არიან.**

**სულ** ახლახან ქუთაისს საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოწვევით ესტუმრა უელსის სანავსადგურო ქალაქ ნიუპორტის მუნიციპალიტეტის დელეგაცია. ბრიტანელთა ვიზიტის მთავარი მიზანი გახლდათ საქართველოს გაცნობა და ქუთაისსა და ნიუპორტს შორის დაძმობილების ხელშეკრულების პირობების დადგენა. რაკიღა ამ ქალაქის რაგბის კლუბი თავის ქვეყანაში ე. წ. პირველი რანგის გუნდად ითვლება, ქუთაისის „აიას" აღზევების ამბავი კი ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება, ბუნებრივი იქნებოდა, ორ ქალაქს შორის ურთიერთობის ერთი ძირითადი სფეროთაგანი სწორედ რაგბი გამხდარიყო. ამით, უეჭველია, კიდევ უფრო გაღრმავდება ახლადდამყარებული კონტაქტები საქართველოსა და უელსის რაგბის კავშირებს შორის, ეს კი დიდად წაადგება მსოფლიო სარბიელზე ქართული რაგბის დამოუკიდებელ გასვლას.

ნიუპორტის გარდა, ქუთაისელ მორაგბეებს პარტნიორებად არაერთი სხვა გუნდიც შეუგულებიათ. მაისში „აიამ" რუმინეთში გამართა ხანმოკლე ტურნე, რომლის როგორც სპორტული, ასევე „სამეგობრო" შედეგებით ორივე მხარე ფრიად კმაყოფილი დარჩა. ამის შემდეგ დაიდო ოფიციალური ხელშეკრულება, რომელსაც საქართველოს მხრივ ხელს აწერენ ქუთაისის რაგბის ფედერაციის თავმჯდომარე რამაზ ყანჩაველი და „აიას" მთავარი მწვრთნელი დუგლას კავთელაშვილი და რომლის ძალითაც ბუქარესტის რკინიგზელთა გუნდი „გრივიცა როშიე" წლეულს ოქტომბერში სათამაშოდ ქუთაისში ჩამოვა.

აღსანიშნავია, რომ „აიას" თავკაცი დუგლას კავთელაშვილი, რომელიც ამავე დროს საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის უფროსიცაა, უნარიანად სარგებლობს უცხოეთში სტუმრობით და მასპინძლებთან მეტწილად საერთო ენის გამონახვას ახერხებს. უთუოდ მისი დამსახურებაცაა, რომ ინგლისურ ჟურნალ „რაგბი ველდ ენდ ფოუსტის" რედაქტორის თანაშემწემ ქრის თაუმ იმდენი ქნა, რომ საგაისოდ სინგაპურში, საერთაშორისო საშვიდკაცო შეჯიბრებაზე მიაწვევინა „აია". ამ ტურნირში მონაწილეობა კი, რა თქმა უნდა, გამორჩეული მოვლენა იქნება მთელი ქართული რაგბისათვის.

ნიუპორტი, ბუქარესტი, სინგაპური... შთამბეჭდავი ნუსხაა! მაგრამ ამით როდი ამოიწურება ქუთაისელთა ძმადნაფიცების ჩამონათვალი. მალე ალბათ ამ სიას თამამად დავუმატებთ საფრანგეთის ქალაქ ვალანსს და არგენტინის ერთ-ერთი პროვინციის ცენტრს კორდოვას. იმედია, ამ ქალაქების სარაგბო კლუბებთან „ნაცნობობა" მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება, დაკონკრეტდება და ორმხრივ სასარგებლო ურთიერთობად იქცევა.

**ნანა სულავა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟამი ფიქრისა, ჟამი განსჯისა

# მოკრივეებს მეტი მოეთხოვებათ

**IV ახალგაზრდულ** საკავშირო სპორტულ თამაშებზე საქართველოს მოკრივეთა მიერ ოფიციალურად მოპოვებული XI-XII ადგილები აშკარად ვერ ასახავს ჩვენში სპორტის ამ სახეობის მდგომარეობას, უფრო ზუსტად, მისი განვითარების დონეს. საქმე ის გახლავთ, რომ თავიდან ტყავის ხელთათმნის ახალგაზრდა ოსტატებს თამაშებზე გუნდურ შეჯიბრებაში მერვე-მეათე, ხოლო პირად პირველობაში ერთი პირველი და ამდენივე მეორე ადგილი დაუგეგმეს. აქ იმას ვარაუდობდნენ, რომ რუდიკ კაზანჯიანს ოქროს მედალი უნდა ჩამოეტანა ასპარეზობიდან, ხოლო ნიკა სეთურს, სულ ცოტა, ვერცხლის ჯილდო უნდა მიეღო. ეს სპორტსმენები რინგის გამოცდილ ოსტატებად ითვლებიან და მრავალგზის გაუმარჯვიათ საკავშირო თუ საზღვარგარეთის სარბიელზე. ამიტომაც მათზე დიდ იმედებს ამყარებდა მწვრთნელთა საბჭო, მაგრამ, მოგეხსენებათ, სპორტში პროგნოზები ძალზე სარისკო რამაა და ამჯერად ვარაუდი არ გამართლდა. ორივე სპორტსმენი პირველსავე დღეს გამოეთიშა ასპარეზობას. მაგრამ, როცა ვამბობთ, თამაშების შედეგი სრულად ვერ ასახავს ჩვენში კრივის მდგომარეობის დონესო, ამაში ამ წაბორძიკებას როდი ვგულისხმობთ, მოხდა ისე, რომ ჩვენმა ნაკრებმა უკაზანჯიანოდ და უსეთუროდაც 90 ქულა დააგროვა, რაც ქუთაისელი ჯამბულატ ყუფარაძისა და სოხუმელი გევარქ კაფსუზიანის მიერ მოპოვებულმა ბრინჯაოს მედლებმა ბევრად განაპირობა. ამით, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ ფინალურ ბრძოლებამდე მოვიპოვეთ ის წინასწარ დაგეგმილი VIII-IX ადგილები. სხვათა შორის, ამ ადგილებს ვიყოფდით ბელორუსიის ნაკრებთან, რომელსაც ერთადერთი ჯილდო — ვერცხლის მედალი აქვს. მაგრამ ფინალური ბრძოლების დაწყებამდე ყველაფერი, როგორც იტყვიან, თავდაყირა დადგა — ვიღაცის ნებით შეიცვალა ქულათა ჩათვლის სისტემა იმ ქალაქებისა და ოლქების სასარგებლოდ, რომლებიც ცალ-ცალკე გამოდიოდნენ შეჯიბრებაში. მათ ერთდროულად მოუტანეს ქულები ქალაქებსაც, ოლქებსაც, რესპუბლიკებსაც. ამ ანგარიშით საუკეთესო პირობებში აღმოჩნდნენ რსფსრ-ისა და უკრაინის, კერძოდ, დონეცკის, ჩელიაბინსკის, შორეული აღმოსავლეთის, ციმბირის ოლქების გუნდები, მათ რესპუბლიკის გარდა თავიანთ ანგარიშშიც მიითვალეს ქულები, რის გამოც, საქართველოს მოკრივეები საბოლოოდ დაგროვილი ქულების მიხედვით XI-XII ადგილებს იყოფენ.

ასეც რომ არ მომხდარიყო, გულახდილად უნდა ითქვას, არცის VIII ადგილი ასახავდა ძალების ნამდვილ შეფარდებას, იმ გამარჯვებათა ფონზე, რომლებსაც ჩვენი მოკრივეები აღწევენ ახალგაზრდულ თუ ჭაბუკთა შეჯიბრებებში, მათ უფრო მეტი მოეთხოვებათ და ალბათ გაამართლებდნენ კიდეც იმედს დონეცკის რინგზე, როგორც ეს შეთანხმებული იყო, რესპუბლიკის ღირსება რომ დაეცვათ პუერტო-რიკოს მსოფლიოს პირველობის საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ ზემძიმე წონის სპორტსმენს არმენ ბურდიანცს (+91), პირველ და მძიმე წონის დიმიტრი ავდალიანს, (91 კგ-მდე). მაგრამ საკავშირო ნაკრების მწვრთნელები ამაზე არ დათანხმდნენ, რამაც თამაშებში რესპუბლიკის ნაკრების შანსები საგრძნობლად შეამცირა. ვფიქრობთ, ნაკრების შესაძლებლობები კიდევ ერთმა ობიექტურმა მიზეზმაც დააქვეითა: როგორც კრივის მოყვარულებმა იციან, ჩვენი მოკრივეების შეკრების დღეებში, კერძოდ, მაისის პირველ რიცხვებში, თბილისში უნდა გამართულიყო გენერალ ლესელიძის სახელობის დიდი ტრადიციული ტურნირი. ეს შეჯიბრება მზადების მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი იქნებოდა,ვინაიდან თბილისში საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქისა და რესპუბლიკის 200-მდე სპორტსმენს ელოდნენ. აქ გამართული ის სამი-ოთხი ბრძოლა კარგ სამსახურს გაუწევდა ყველას. მაგრამ ტურნირი აპრილის ამბების გამო ფაქტიურად ჩაიშალა, რადგან ექვსად ექვსი ბელორუსი სპორტსმენი ჩამოვიდა თბილისში და მემორიალი ისევ საქართველოს ღია პირველობად იქცა, ჩვენს სპორტსმენებს მომავალ მეტოქეთა ძალების შემოწმების საშუალება არ მიეცათ.

ამას გარდა ჩვენი ნაკრები იმითაც დაზარალდა, რომ შეჯიბრების დაწყებამდე დაშავდა პირველი მძიმე წონის მოკრივე ირაკლი ჭუმბურიძე და მან სარბიელზე გამოსვლა ველარ შეძლო. იმის გამო, რომ ივლისში უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებს აბარებდა, დონეცკში ვერ ჩავიდა მჩატე წონის მოკრივე ს. ჯაფარიძე, ამრიგად, გუნდში 12-ის ნაცვლად 10 მოკრივე გვყავდა. აღნიშნულს ისიც დაემატა, რომ ჯ. ყუფარაძეც და გ. კაპსუზიანიც ნახევარფინალური ბრძოლებიდან ექიმებმა მოხსნეს ტრავმების გამო.



დონეცკში ჩატარებულმა შეხვედრებმა თვალნათლივ დაგვანახვა ჩვენი მოკრივეების ნაკლოვანი მხარეები. ისინი ტექნიკური მომზადების თვალსაზრისით ტოლს არ უდებენ თვით თამაშებში გამარჯვებულთ; მაგრამ მათს ტაქტიკურ არსენალში საკმაოდ არის ხარვეზები. მოიკოჭლებენ ფიზიკურ გამძლეობაშიც, რასაც სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ არა მარტო ნაკრების, არამედ საზოგადოებებისა და უწყებათა მოკრივეების პირადმა და უფროსმა მწვრთნელებმაც.

სამწუხაროდ, დღემდე ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ნაკრების ხელმძღვანელობას ზუსტი კონტროლი ჰქონდეს დაწესებული რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატთა მზადებაზე, როცა ისინი თავიანთი საზოგადოებისა და უწყების საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებიან, არც მათი ინდივიდუალური სასწავლო-საწვრთნელი სისტემის გეგმების თავმოყრა ხერხდება. ამასთან, მწვრთნელთა საბჭომ ჯერაც ვერ მიაღწია იმას, რომ ცალკეული მოკრივის ადგილზე მზადების მიმდინარეობა განიხილოს და ამის საფუძველზე სათანადო შეფასება მიეცეს უწყებების, სპორტსკოლებისა და სპორტკომიტეტების მუშაობას. საკითხის ასე დაყენება მით უფრო საჭიროა, რომ იმ ქალაქებიდან და რაიონებიდან, სადაც დანერგილია კრივი, რესპუბლიკის ნაკრები დღეს სპორტსმენთა თითებზე ჩამოსათვლელ რაოდენობას იღებს. ამაზე ნათლად მეტყველებს ცხრილი, რომელსაც აქ გთავაზობთ:

| ქალაქები | ნაკრების კანდიდატთა რაოდენობა | ნაკრებში მოხვდნენ | მათი ქულები |
|---|---|---|---|
| თბილისი | 14 | 2 | 0 |
| ქუთაისი | 3 | 3 | 35 |
| აჭარის ასსრ | 1 | 0 | 0 |
| აფხაზეთის ასსრ | 4 | 2 | 35 |
| რუსთავი | 1 | 0 | 0 |
| ჭიათურა | 1 | 1 | 0 |
| ფოთი | 5 | 1 | 10 |
| მესტია | 3 | 1 | 10 |
| სენაკი | 1 | 0 | 0 |
| სულ | 33 | 10 | 90 |

თამაშებზე საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებმაც რესპუბლიკის ნაკრებს ყველაზე მეტი ქულა შესძინეს.

აქვე უნდა აღინიშნოს: მიუხედავად იმისა, რომ „შრომით რეზერვებს" ამჯერად თავის გამოჩენის საშუალება არ ჰქონია (კაზანჯიანისა და სეთურის წაბორძიკება, ავდალიანისა და ბურდიანცის ჩამოუსვლელობა და ა. შ.), ეს საზოგადოება მაინც ერთ-ერთი საყრდენია დღევანდელი ჩვენი კრივისა და აქედან კვლავაც ველით ახალ სახელებს.

სერიოზული მსჯელობის საგნად უნდა იქცეს მოკრივეთა შორის დისციპლინის განმტკიცების საკითხი. ზოგიერთმა სპორტსმენმა უდისციპლინობით „თავი გამოიჩინა" ჯერ საწვრთნელ შეკრებაზე დონეცკში და თვით ასპარეზობის დღეებში. დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ეს ნერვული დაძაბულობის შედეგიც იყო, მაგრამ სპორტსმენს საკუთარი ნერვების მოთოკვაც უნდა შეეძლოს. ეს ამთავითვე უნდა გაითვალისწინოს ყველამ, განსაკუთრებით კი თამაშების იმ მონაწილეებმა, რომლებიც მალე სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადისათვის მზადებას შეუდგებიან.

**უშანგ ჭიჭინაძე.**

---

მიზანი — სპორტული სუვერენიტეტი!

# მედლის ორივე მხარე

**ოლიმპიური** თამაშები ყველა სპორტსმენის უზენაესი ნატვრა და ოცნებაა, აქ მონაწილეობაც კი უდიდეს სპორტულ მიღწევად ითვლება, აღარას ვამბობთ გამარჯვებულზე, ხალხის სათაყვანებელ კერპად და ეროვნულ გმირადაც რომ აღიარებენ ხოლმე.

საქართველოს შეუძლია იამაყოს თავისი სახელოვანი შვილებით. თავად განსაჯეთ — 84 ოლიმპიური ჯილდო (!), 28 ჩემპიონი, 22 ვერცხლის პრიზიორი და 34 ბრინჯაოს მედალოსანი.

სხვა თუ არაფერი, სეულის ოლიმპიურ თამაშებზე, მარტო ოქროს მედლების რაოდენობით, გავუსწარით ერთად აღებულ ისეთ მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორიცაა: ბრაზილია, ესპანეთი, ავსტრია, შვეიცარია, არგენტინა, ბელგია, მექსიკა, საბერძნეთი და ფინეთი.

განა ბევრ ქვეყანას და რესპუბლიკას შეუძლია იამაყოს 195 მსოფლიო, 230 ევროპისა და 1100 სსრკ ჩემპიონითა და თასის მფლობელით.

სწორედ ამიტომ, საქართველოს სპორტული სუვერენიტეტი არც თუ ისე შორეულ ოცნებად გვესახება.

საქართველოს სპორტული სუვერენიტეტის საკითხი დროულად წამოიჭრა, ხოლო გაზეთი „ლელო" აქტიურად ჩაება ამ ეროვნულ მოძრაობაში — რამდენიმე საგანგებო წერილთან ერთად მანამდე უცნობი ოლიმპიური ქარტიაც გამოაქვეყნა.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ ბალტიისპირეთის ქვეყნების სპორტულ სუვერენიტეტზე. სასიხარულოა, რომ საქართველო პირველი რესპუბლიკაა, რომელიც გამოეხმაურა ბალტიისპირელთა ეროვნულ ოლიმპიურ მოძრაობას.

რა მდგომარეობაა ჩვენთან, რამდენად რეალურია ჩვენი მიზნები? ვიყოთ ობიექტურნი და ყოველგვარი ილუზიების გარეშე შევაფასოთ ჩვენი შესაძლებლობანი.

ოლიმპიურ ქარტიას თავისი მკაცრი კანონები აქვს, რომელთა დაცვა აუცილებელი პირობაა.

სპორტული სუვერენიტეტის უფლებას თვით სსრკ კონსტიტუციის 76-ე მუხლი გვაძლევს, სადაც ნათქვამია, რომ მოძმე რესპუბლიკა სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოა, მაგრამ აქ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია გასათვალისწინებელი — სსრკ თვით არის სოკ-ის წევრი, როგორც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი(?!).

ამასთან ერთად, სპორტული სუვერენიტეტი სრულებით არ ნიშნავს მარტო ოლიმპიური ქარტიით შეზღუდვას, არის რიგი სახეობები, სადაც ჩვენი საერთაშორისო ავტორიტეტი საკმაოდ მაღალია. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ჭადრაკი, ალპინიზმი, რაგბი. მორაგბეებმა საკმაოდ აქტიურად დაიწყეს სპორტული სუვერენიტეტისაკენ გზის ძებნა. იმედი გვაქვს, რომ ადრე თუ გვიან ისინი სასურველ შედეგსაც მიაღწევენ.

რაც შეეხება ალპინიზმსა და ჭადრაკს (გაიხსენეთ მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადებზე ჩვენი გოგონების ბრწყინვალე მიღწევები), აქაც მიზნის მიღწევა რეალურად გვესახება, თუმცა დიდი მონდომების, ინიციატივისა და საყოველთაო მხარდაჭერის გარეშე ვერას გავხდებით. არ ვიცი, ვის როგორ. მაგრამ პირადად მე ძალიან მჯერა პიროვნების როლის და გულით მინდა, რომ ჩვენს სახელოვან მოჭადრაკე გოგონებში ერთი ოლიმპიური ლიდერი გამოჩნდეს.

ისიც გავითვალისწინოთ, რომ საბჭოთა კავშირი თითქმის ყველა საერთაშორისო ფედერაციის წევრია, რაც ჩვენთვის ხელისშემშლელი ფაქტორია სპორტული სუვერენიტეტისათვის ბრძოლაში.

ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხია საკმაოდ დიდი პირველადი სავალუტო შესატანი და მომავალი ხარჯები. მაგალითად: საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის ერთი წევრის შენახვა წელიწადში 14-დან 36 ათას მანეთამდე ჯდება (სახეობების მიხედვით).

სეულის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების მონაწილეობა 8 მილიონ მანეთამდე დაჯდა, აქედან 2 მილიონი ვალუტით. ერთი სპორტსმენის მონაწილეობა საშუალოდ 8-10 ათას მანეთს აღწევდა.

როგორც ხედავთ, საკმაოდ სოლიდური თანხებია.

ერთია, ზემოთ ჩამოთვლილი ჩვენი უდავოდ დიდი სპორტული მიღწევები, მაგრამ, როგორც იტყვიან, მედალს მეორე მხარეც აქვს.

ნუ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ყველაზე მაღალ შედეგებს საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში გამოსვლისას აღწევენ. ახლა გავითვალისწინოთ ჩვენი რეალური შესაძლებლობანი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის, თანამედროვე ინვენტარ-მოწყობილობის, სპორტული ფორმის, მწვრთნელთა კვალიფიკაციის, სამედიცინო ფსიქოლოგიური მომსახურების, მაღალი სტიპენდიების, საერთაშორისო არენაზე გასვლის თვალსაზრისით. როგორც ხედავთ, საფიქრალი და გადასაწყვეტი საკმაოდ ბევრია. მე კიდევ ერთი ე. წ. ფსიქოლოგიური ფაქტორიც მაწუხებს — ერთია როდესაც რესპუბლიკაში ხარ პირველი და არავინ გეცილება, მაგრამ სულ სხვაა კავშირის მასშტაბით მოპოვებული პირველობა, რომელიც ზოგიერთ სახეობაში მსოფლიო ჩემპიონობაზე იოლი არ გახლავთ. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, არ დაკარგონ ბრძოლისუნარიანობა ჩვენმა სპორტსმენებმა.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ სეულის ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი სპორტსმენების 5 ოქროს მედლიდან 3 საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში (ვ. გოგოლაძე, ვ. აფციაური, გ. კეტაშვილი), ხოლო საერთო 12 მედლიდან 6 სსრკ გუნდთან ერთადაა მოპოვებული (ვ. იაგორაშვილი, მ. გიორგაძე, მ. აზარაშვილი).

არის კიდევ სხვა მრავალი დიდი და პატარა პრობლემა, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია.

ნიშნავს თუ არა ყოველივე ზემოხსენებული იმას, რომ საქართველოს სპორტული სუვერენიტეტის საკითხი სადავოდ მივიჩნიოთ? სრულიადაც არა, მაგრამ ხომ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ და ობიექტურად შევაფასოთ ჩვენი რეალური შესაძლებლობანი.

**ია. მე-4 გვ.**

---

პასუხი „ლელოს"

# ვითომ ყველა აღმზრდელია?

**მიმდინარე** წლის 18 აგვისტოს „ლელოში" გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის („ვითომ ყველა აღმზრდელია?") პასუხად საქართველოს ალკკ ჭიათურის საქალაქო კომიტეტი და ქალაქის სპორტკომიტეტი გაცნობებთ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

ჭიათურის ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკურ ტურნირში გამოსვლის დროს დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებები განხილულია კომკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტისა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე.

ჭიათურის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელს ე. გაგნიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური და აეკრძალა ბავშვთა სპორტში მუშაობა.

კომკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის წარმომადგენელს გ. შეყლაშვილს, რომელმაც ვერ აღკვეთა მწვრთნელის არაპედაგოგიური მოქმედება, გამოეცხადა საყვედური.

**ე. მიქაცაძე,**
საქართველოს ალკკ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი,

**გ. პაპიძე,**
ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

◆◆◆◆◆

წერილი რედაქციას!

# ჩვენც მოგვხედეთ!

**თბილისში** არის ასეთი უცნაური დასახლების უბანი — „საქსოფმანქანა". დღეს ლილოში ამ ტერიტორიაზე 50 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ, ნუ გაგიკვირდებათ, ამდენ მოსახლეობას ერთი სპორტული კომპლექსიც არ გააჩნია. ტერიტორიის გამოყოფის შესაძლებლობა კი იცოცხლეთ, არის. რა დააშავა ახალგაზრდობამ (სხვათა შორის, დასახლება ძირითადად ახალგაზრდულია) და საერთოდ, მოსახლეობამ. რატომ არ უნდა იყოს აქ ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობის შესაძლებლობები?

საქარხნო რაიონი, რომლის ზონაშიც ეს დასახლება შედის, ვიცით, ბოლო ხანებში ბევრს აკეთებს სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებისთვის და იმედია, არც ჩვენი უბანი დარჩება ყურადღების გარეშე.

მოგვეცით შესაძლებლობა და ახალგაზრდობაც შევიტანთ ჩვენს წვლილს სპორტული კომპლექსის მშენებლობაში.

**ვახტანგ ლაგრაძე, რევაზ სოხაძე, პაატა ივანისელი და სხვ.**

◆◆◆◆◆

# ხომ არ კარგავს უნივერსიადა ავტორიტეტს?

**დუისბურგის** მსოფლიო უნივერსიადა ორგანიზატორებს დაუჯდათ 12 მილიონი დასავლეთგერმანული მარკა. ბილეთების და ტელეტრანსლაციის შემოსავალი აქედან მხოლოდ 2,9 მილიონ მანეთს ფარავს. ყოველივე ეს მსოფლიო უნივერსიადისადმი დიდ ინტერესზე არ მეტყველებს.

უნივერსიადის შემცირებულ პროგრამაში შედის: მძლეოსნობა, ფარიკაობა, აკადემიური ნიჩბოსნობა და კალათბურთი. თამაშებზე ჩავიდა დაახლოებით ასი ქვეყნის 2800-მდე სპორტსმენი, 400 მსაჯი და 300 ჟურნალისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## I ლიგა

**გუშინ** ლანჩხუთში გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXVII ტურის შეხვედრა, ადგილობრივმა „გურიამ" მიიღო ვორონეჟის „ფაკელი".

შეხვედრა დამთავრდა ლანჩხუთელთა გამარჯვებით — 3:0.

## II ლიგა

**გაიმართა** II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, 28-ე ტურის შეხვედრები. „დინამო" (სოხუმი) — „ლოკომოტივი" (მინ. წყლები) 5:1. „კოლხეთი" (ხობი) — „ნარტი" (ჩერკესკი) 2:0, „დილა" (გორი — „ომც" (თბილისი) 3:0, „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:1, „შევარდენი" (თბილისი) — „მერცხალი" (ოზურგეთი) 0:1, „გოიაზანი" (ყაზახი) — „კოლხეთი" (ფოთი) 2:0, „დინამო" (მახაჩყალა)—„ატომმაში" (ვოლგოდონსკი) 6:2, „ტერმისტი" (ბაქო) — „ტორპედო" (ვოლჟსკი) 1:0, „ტექსტილშჩიკი" (კამიშინი)—„ყარაბაღი" (აგდამი) 2:1, „ზვეზდა" (გოროდიშჩე) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 1:0, „ხაზარი" (სუმგაითი) — „ხაზარი" (ლენქორანი) 3:1.

## საქართველოს პირველობა

**განვლილ** შაბათ-კვირას შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, XXI ტურის შეხვედრები: „სულორი" (ვანი) — სპი (თბილისი) 4:2, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 2:0, „სიონი" (ბოლნისი) — „სქური" (წალენჯიხა) 6:1, „ივერია" (ხაშური) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 1:0, — „შადრევანი" (წყალტუბო)—ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:1, „მეტალურგი" (ზესტაფონი) „მზიური" (გალი) 0:0.

* * *

**რესპუბლიკის** საფეხბურთო თასის გათამაშების ნახევარფინალი 22 აგვისტოს თბილისში შედგება, შეხვედრა ცხინვალის „სპარტაკსა" და თერჯოლის „საპოვნელას" შორის „ლოკომოტივის" სტადიონზე დაიწყება 18 საათზე.

23 აგვისტოს აქვე უნდა გამართულიყო ზუგდიდის „დინამოსა" და წყალტუბოს „შადრევანის" შეხვედრა, მაგრამ „შადრევანის" ხელმძღვანელობის თხოვნით თამაში გადაიდო დებულების შესაბამისად ვინაიდან მისი ორი საუკეთესო ფეხბურთელი მიწვეულია საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში.

როგორც რესპუბლიკის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოდან გვაცნობეს, ყველასათვის ცნობილი მიზეზებით წლევანდელ სეზონში გადაიდო I და II ჯგუფების გუნდების საქართველოს პირველობის რამდენიმე შეხვედრა. სპორტსახკომის მითითებით 1 სექტემბრიდან საქართველოს ჩემპიონატის მატჩები გადაიდება მხოლოდ ჩემპიონატის დებულების შესაბამისად, ან განსაკუთრებულ, საგანგებო შემთხვევებში.

# ზუგდიდელთა წარმატება

**გრძელდება** საკავშირო თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებს შორის.

ამ წარმომადგენლობით ასპარეზობაში კარგად გამოდის ზუგდიდის „დინამოს" კოლექტივი. პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში, რომელიც ამ დღეებში ზუგდიდში გაიმართა, დინამოელთა მეტოქე ტაშკენტის „ავტომობილისტი" იყო. თამაში მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 4:0.

ზუგდიდელთაგან ბურთები გაიტანეს: ჯიქიამ-2, აფაქიძემ და თუთბერიძემ. განმეორებითი მატჩი 10 სექტემბერს გაიმართება ტაშკენტში.

**ნუგზარ ჟვანია.**

**ტელეფონით „ლელოს" საკ. კორ.**

## გამოხმაურება წერილზე: „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?"

# ჩვენ ვინ გვეკითხება?

**საჭიროა** თუ არა ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატი?

საკითხის ამგვარი დაყენება უსაფუძვლოდ მიმაჩნია. სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის არსებობას ჩვენ არავინ გვეკითხება, უფრო მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რამდენად რეალურია ეროვნული ჩემპიონატის მოწყობა.

მის სამედო მომავალს მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს:

1. ქართული ფეხბურთის საუკეთესო ტრადიციები. მიუხედავად საკავშირო საფეხბურთო ცენტრის ხრიკებისა, ჩვენ, ასე თუ ისე, გვაქვს გარკვეული მიღწევები.

2. დღეს საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს, I და II ლიგებში გამოდის ათზე მეტი ქართული გუნდი.

3. საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატს აქვს საკმაოდ ძლიერი საყრდენი მრავალი გუნდის სახით.

ეს უშუალოდ ის ფაქტორებია, რომლებიც ქართულ ფეხბურთს შეეხება. საზღვარგარეთის მრავალი ქვეყანა მოსახლეობით არც ისე ბევრად აღემატება საქართველოს, მაგრამ ისინი მშვენივრად ართმევენ თავს საკუთარ ჩემპიონატებს და არავითარი სურვილი არა აქვთ შექმნან ფაზრო კოსმოპოლიტური ჩემპიონატები. სხვა საქმეა, თუ რამდენად გამოირჩევა ამ ქვეყნების ჩემპიონატების დონე. ჩვენ, ქართველებს, რატომღაც პრეტენზია გვაქვს (ეს კარგად ჩანს „ლელოში" გამოქვეყნებული მკითხველთა წერილებიდან), რომ ეროვნული ჩემპიონატი აუცილებლად იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, ინგლისის და სხვა ქვეყნების დონისა იყოს, და თუ ასე არ იქნება, მაშინ აზრიც არა აქვს მის შექმნას.

საკითხის ასე დაყენება უმართებულოდ მიმაჩნია. ჯერ ერთი, თუ საქართველოს გუნდები საერთო საკავშირო ლიგებში თამაშობენ, ამით ვითომ რა დონეს მიაღწიეს, რომ მჭიდრო სახელის გაგონებაზე ზემოჩამოთვლილი ქვეყნების გუნდები შიშით ფრთხოდნენ. 1981 წლის მოპოვებული ჯილდო ეს საქართველოს ნაკრების გამარჯვებაა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. დროა ყველაფერს ფხიზელი თვალით შევხედოთ, მარტო თბილისის „დინამო" აქ არაფერ შუაშია. „დინამოში" 1981 წელს, ისევე როგორც სხვა დროს, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობდნენ, საკავშირო ჩემპიონატს კი ქართული ფეხბურთისთვის უამრავი გულისტკივილისა და დაჩაგვრის გარდა ბევრი არაფერი გაუკეთებია.

ჩვენ არ გვაინტერესებს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მომავალი. ჩვენი საქმეა ეროვნული ჩემპიონატის შექმნა და მიმაჩნია, რომ ყველა ქართველმა უნდა შეიტანოს ამაში წვლილი. ჩვენ საამისოდ ყველაფერი გვაქვს: გუნდები, სტადიონები, უამრავი ახალგაზრდა, რომელსაც სურს ფეხბურთელი იყოს.

ნორვეგიაში 4,2 მილიონი მოსახლეობაა, ფინეთში — 4,9 მილიონი, დანიაში —5,2 მილიონი, ირლანდიაში — 3,5 მილიონი. ამ ქვეყნებში ტარდება ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატები. მაშ ჩვენ რისი და ვისი გვეშინია? რატომ გვაზნევს ეს დრომოჭმული კომპლექსი? რატომ გვინდა, რომ თბილისის „დინამო" მაინც და მაინც სსრ კავშირის ჩემპიონი იყოს და არა საქართველოსი?

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: ჩვენ არავინ გვკითხავს საკავშირო ჩემპიონატის მომავალზე მკითხაობას, ამიტომაც საჭიროა მეტი ვიფიქროთ და ვილაპარაკოთ საკუთარ ეროვნულ სპორტზე, მის პერსპექტივებზე.

**გ. მიქელაძე, დ. მინდორაშვილი, გ. შველიძე.**

თბილისი.

# იდეა ურიგო არ არის!

**„ლელოს"** ფურცლებზე ახლა იხილავენ საკითხს საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში. მრავალი იმ აზრისაა, რომ ჩავატაროთ მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატები, რომელიც უფრო აალორძინებს ქართულ ფეხბურთს.

სამომავლოდ ეს იდეა ურიგო არ არის, ამიტომაც მისი შეზღუდვა სწორი არ იქნება, მაგრამ აჩქარებულმა მოქმედებამ და საკითხის არასწორად გადაწყვეტამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ქართულ ფეხბურთს და არა მარტო მას, არამედ მთელ ქართულ სპორტსაც.

რამდენად გამართლებული იქნება, თუ ეს იდეა განხორციელდება დღეს ან უახლოესი ათი წლის განმავლობაში? ჩემი აზრით, ამ იდეას აღნიშნულ პერიოდში კეთილი საქმის მოტანა არ შეუძლია.

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებისთვის საჭიროა 16-18 მაღალი კლასის გუნდი, რომლებიც თვითდაფინანსებითა და თვითანაზღაურებით იმოქმედებენ, ასეთები კი საქართველოში სადღეისოდ შეიძლება იყოს სულ 7-8, მაგრამ ამ გუნდებსაც გაუჭირდებათ ხარჯების მთლიანად ანაზღაურება, რადგანაც მკვეთრად დაეცემა მაყურებელთა დასწრება. ჩემთვის, როგორც გულშემატკივრისთვის, წარმოუდგენელია ისე ჩატარდეს ფეხბურთის ჩემპიონატი, რომ თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ არ ვიხილოთ კიევის „დინამო", მოსკოვის „სპარტაკი", ერევნის „არარატი", დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" და სხვანი. აი, თვით ამ გუნდებთან შეხვედრებშიც კი მაყურებელთა დასწრება ახლა დაბალია. თქვენ წარმოიდგინეთ, როგორი იქნება დასწრება, როდესაც თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ გამოვლენ მეორე ლიგის გუნდები? ადვილი შესაძლებელია დაბალმა კონკურენციამ დააქვეითოს ჩვენი მოწინავე გუნდების ოსტატობის დონე.

დღეს ყოველი საბჭოთა ფეხბურთელის ოცნებაა ხელი მოაწეროს კონტრაქტს უცხოეთის რომელიმე ძლიერ პროფესიულ კლუბთან. საკმარისია ქართულ ფეხბურთში გამოჩნდეს ნამდვილი „ვარსკვლავი", რომ იგი საზღვარგარეთ აღმოჩნდება, ფეხბურთელთა მიგრაცია კი უფერულს გახდის საქართველოს ჩემპიონატს. ასეთ სიტუაციაში ჩვენ იმ ფეხბურთელთა სამჭედლო ვიქნებით, რომლებიც სიამოვნებას მიანიჭებენ საზღვარგარეთელ გულშემატკივრებს, ჩვენ კი „მშრალი" სიამაყე შეგვრჩება იმისა, რომ ქართველი ფეხბურთელი ევროპის რომელიმე ძლიერ გუნდში გამოდის.

გამოთქმული იყო აზრი იმის თაობაზე, რომ ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის შემთხვევაში, უფრო დიდ წარმატებებს მივაღწევდით ევროპის საკლუბო ტურნირებშიო. მაგრამ მიმაჩნია ასეთ ვითარებაში წარმატებები კი არა, შეიძლება 1981 წლის 13 მაისიც არ ყოფილიყო. ეს იმიტომ, რომ სანამ ფინალში ვითამაშებდით „დიუსელდორფის" სტადიონზე, საჭიროა გავიხსენოთ, როგორ ნადირობდნენ ევროპის სხვადასხვა კლუბების ხელმძღვანელები ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელების გადასაბირებლად, ამ ფეხბურთელების გარეშე კი იმ წელს ფინალში მოხვედრაც შეუძლებელი იქნებოდა. ისიც უნდა [illegible] თუ ქართული ფეხბურთი საბჭოთა კავშირს გამოეყო, გამორიცხული არ არის, რომ აზიის კონტინენტის წარმომადგენელ რესპუბლიკას ნება არ დართონ ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობაზე.

არ მინდა ჩემი აზრი ისე წარმოვაჩინო, თითქოს ქართული ფეხბურთის ჩემპიონატს მომავალი არ უწერია. არა, მაგრამ ამას დრო სჭირდება და მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი რესპუბლიკა ეკონომიკურად გაძლიერდება, თითოეული გუნდი განიმტკიცებს თავის ფინანსურ მდგომარეობას, უარყოფს სხვადასხვა უკანონო წყაროებით საკუთარ დაფინანსებას, მაშინ შესძლებს იყოლიოს ძლიერი პროფესიული გუნდი, შესძლებს შეისყიდოს კარგი ფეხბურთელები, საკუთარი კი არ გაყიდოს სხვა კლუბებში. მაშინ იქნება ქართული ფეხბური უფრო სანახაობითი და საინტერესო, რადგანაც ფეხბურთის მთავარი მიზანია სიამოვნება მიანიჭოს გულშემატკივარს და თუ ეს გულშემატკივარი ქართველი კაცი იქნება, სწორედ მაშინ მიაღწევს ქართული ფეხბურთი სანუკვარ მიზანს.

**სოსო ჩხაიძე.**

ბათუმი.

# ამაზე უკეთესი რა იქნება...

**გადავწყვიტე** ჩემი აზრიც გამომეთქვა წერილზე „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში".

საქართველოს გუნდები ამგვარ ჩემპიონატში არ უნდა მონაწილეობდნენ და არა მარტო ფეხბურთში. ჩვენი რესპუბლიკის გუნდების მიმართ საკავშირო უწყებები ტენდენციურნი არიან, არაობიექტურობა სპორტის ყველა სახეობაში იგრძნობა, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. თუ არსებობს გზა იმისა, რომ ჩვენ დამოუკიდებლად შევიდეთ უეფა-ს და ფიფა-ს შემადგენლობაში, ამაზე კარგი საქმე რა უნდა იყოს.

ამიტომაც საჭიროა ეროვნული ჩემპიონატი.

**გ. ლაზიშვილი,**

**სალოკომოტივო დეპოს მემანქანე.**

ბათუმი.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**23 წლის** არგენტინელი ფეხბურთელი ედუარდო ბალბო შარშან იტალიის „ვერონამ" შეისყიდა, მაგრამ უცხოელთა არსებული ლიმიტის გამო იგი დროებით ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტს" დაუთმეს. ამ ხნის განმავლობაში ე. ბალბო მიიწვიეს არგენტინის ნაკრებში, ამიტომაც მისი ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ახალი ჩემპიონატის დაწყების წინ „ვერონამ" ვეღარ შეძლო ე. ბალბოს საფასურის გადახდა, ახლა იგი იტალიის ჩემპიონატის დებიუტანტმა „უდინეზემ" გამოისყიდა.. კონტრაქტის პირობებით არგენტინელი ფეხბურთელი 3 წლის მანძილზე 3,5 მილიონ დოლარს მიიღებს.

**იტალიის** „რომაში" გატარებული ერთი წლის შემდეგ ბრაზილიელი რენატო სამშობლოში დაბრუნდა. წარუმატებელი სეზონის შედეგად მისი წლიური შემოსავალი მნიშვნელოვნად შემცირდა. იტალიაში იგი სეზონში 30 ათას დოლარს იღებდა, ახლა კი „ფლამენგო" მას მხოლოდ 12,5 ათასს გადაუხდის.

**გრძელდება** დანიელ ფეხბურთელთა ექსპორტი. ქვეყნის ჩემპიონის „ბრონდბიუს" კიდევ ორი მოთამაშე მიემგზავრება უცხოეთის პროფესიულ კლუბებში. კენტ ნილსენი ინგლისის „ასტონ ვილაში" ითამაშებს, ხოლო პერ სტეფენსი— ჰოლანდიის „ტვენტეში". „ოლბორგის" 22 წლის თავდამსხმელი პეტერ რასმუსენი გფრ-ის „შტუტგარტში" შეცვლის იტალიაში წასულ იურგენ კლინსმანს.

**„ოდენსე 1913"** დანიის პირველობის აუტსაიდერია. 12 ტურის შემდეგ იგი 6 ქულით ბოლო ადგილზე დამკვიდრდა ბურთების შეფარდებით 12-22. მიუხედავად ამისა, კლუბის საუკეთესო ფორვარდი ოლე პეტერსენი პრესის ყურადღების ცენტრშია. საქმე ისაა, რომ „ოდენსეს" მიერ გატანილი თორმეტივე გოლი პეტერსენის ანგარიშზეა.



**ნორვეგიის** პირველობას ლიდერობს „ლილესტრიომი". წელს გუნდმა გაყიდა თავისი საუკეთესო მოთამაშე ფიორტოფტი (ვენის „რაპიდში"), სამაგიეროდ მიიწვია ახალი მწვრთნელი, წარსულში შოტლანდიის ნაკრებისა და „ლიდსის" ფეხბურთელი დევიდ ჰეი.

**შვეციის** ნაკრების კიდევ ორი ფეხბურთელი ითამაშებს ინგლისში. ცენტრალური მცველი გლენ ჰისენი — „ლივერპულში", ხოლო ნახევარმცველი სტეფან რენი — ლივერპულის მეორე კლუბ „ევერტონში". მათ გარდა ინგლისელებს სურთ ნორვეგიაში მოთამაშე კიდევ ერთი შვედის გლენ შილერის ყიდვა. მას „ტოტენჰემი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" ეპატიჟებიან.

**ბოლო** წლებში თურქეთის კლუბებმა დაიწყეს წამყვანი საფეხბურთო ქვეყნებიდან მოთამაშეთა იმპორტი. შარშან მოდაში იყვნენ ბრაზილიელები, თურქეთში ამ ქვეყნის 18 მოთამაშე გაემგზავრა, წელს პირველობა გფრ-ის წარმომადგენლებს უკავიათ. „ბეშიქთაშმა" 350 ათას მარკად იყიდა „ვერდერის" მოთამაშე მეიერი. თურქეთში მიდის ისლანდიის ნაკრების მწვრთნელი ზიგი ჰელდი. იგი „გალათასარაიში" იმუშავებს. იურგენ სუნდერმანი სათავეში ჩაუდგება „მალათიასპორტს". აქვე ითამაშებენ ფისტლერი („ჰერტა") და კროთი („დორტმუნდი").

**(საქ. ინფ.)**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**განვლილ** შაბათს შედგა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის XVI ტურიდან გამოტოვებული მატჩი, ოდესაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ჩერნომორეცი" და კიევის „დინამო".

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

# სერგეი ალეინიკოვი „იუვენტუსში"

**27 აგვისტოს** იტალიაში დაიწყება ქვეყნის ახალი საფეხბურთო ჩემპიონატი. „იუვენტუსის" შემადგენლობაში ალექსანდრ ზავაროვთან ერთად ითამაშებს მინსკის დინამოელი სერგეი ალეინიკოვი. ადრე ნავარაუდევი იყო ალეინიკოვის „გენუაში" გადასვლა. ეს მოლაპარაკება ჩაიშალა იმის გამო, რომ საკავშირო სპორტსახკომი და „სოვინტერი" „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად მოქმედებდა.

# ოლიმპიური იდეალებისადმი ერთგულება

**სად**, რომელ ქვეყანაში ჩატარდება 1996 წლის ოლიმპიური თამაშები? საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყველაზე გამოცდილი წევრებიც კი, რომლებსაც სპორტში, რომ იტყვიან, „ძაღლი აქვთ მოჭმული“, ამ კითხვაზე პასუხს ვერ გასცემენ, ვინაიდან განაცხადების მიღების ვადა 1990 წლის თებერვალში იწურება (ამ ხნის განმავლობაში, ცხადია, ბევრი გაუთვალისწინებელი რამ შეიძლება მოხდეს). სამაგიეროდ, ათენის ნებისმიერ მოქალაქეს რომ დაუსვათ იგივე შეკითხვა, დაუყოვნებელ და კატეგორიულ პასუხს მიიღებთ — რა თქმა უნდა, საბერძნეთში. რას ეყრდნობა ძველი ელადის მკვიდრთა ასეთი მტკიცე რწმენა? საქმე ისაა, რომ 1996 წლის თამაშების თარიღი ემთხვევა თანამედროვე ოლიმპიადების საუკუნოვან ისტორიას, პირველი აღორძინებული თამაშები კი, როგორც ცნობილია, საბერძნეთის დედაქალაქში გაიმართა.

ათენში საიუბილეო ოლიმპიადის ჩატარების იდეა წამოაყენა ჯერ კიდევ 1979 წელს საბერძნეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა კონსტანტინოს კარამანლისმა. შემდგომში ამ იდეას კიდევ ერთი საკმაოდ გაბედული მოსაზრება დაემატა: რატომ არ შეიძლება, რომ ყველა ოლიმპიურ თამაშს საბერძნეთმა უმასპინძლოს ისე, როგორც ეს იყო ძველ ელადაში? მაგრამ მეორე წინადადება საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს არც ერთ დონეზე სერიოზულად არ განუხილავს. სამაგიეროდ კარამანლისის მემკვიდრემ ანდრეას პაპანდრეუმ უკვე ოფიციალურად მოითხოვა საიუბილეო თამაშების ათენში ჩატარება.

18 ივნისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საბერძნეთში შეიქმნა გარდამავალი მთავრობა, რომელსაც არა აქვს უფლება წამოაყენოს გლობალური ეკონომიკური პრობლემები. ახალი კაბინეტი უმთავრესად ქვეყნის შიგა-პოლიტიკური ცხოვრების საკითხებით არის დაკავებული. ამის მიუხედავად, მთავრობის პირველსავე სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ძანის ძანეტაკისმა ისევ წამოაყენა წინადადება 1996 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის თაობაზე.

კაბინეტის წევრებმა ამ წინადადებასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი. სამთავრობო კომისიის წინასწარი მონაცემებით სპორტული ნაგებობებისა და სასტუმროების მშენებლობას, აგრეთვე ინფრასტრუქტურის განვითარებას დასჭირდება 317 მილიარდი დრახმი, საერთო ხარჯები კი 775 მილიარდ დრახმას მიაღწევს.

ამ მაჩვენებლების თანახმად, 1996 წლისათვის დაგეგმილია 10 ათას მაყურებლიანი საცურაო აუზის, საჩოგბურთო კორტების, ღია სტადიონის, ველოტრეკის, სასროლეთის, ახალი საერთაშორისო აეროპორტისა და, რა თქმა უნდა, ოლიმპიური სოფლის მშენებლობა, თანაც ოფიციალური განცხადებაა გაკეთებული იმის თაობაზე, რომ ოლიმპიადასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის კონტროლზე იქნება აყვანილი.

როგორც ცნობილია, საიუბილეო ოლიმპიადის კანდიდატთა საკითხი საბოლოოდ გაირკვევა მერმისს სექტემბერს ტოკიოში სოკ-ის მორიგ სესიაზე. ათენის გარდა ოლიმპიადის მასპინძლობაზე პრეტენზიას აცხადებენ ატლანტა (აშშ), ტორონტო (კანადა), ბელგრადი (იუგოსლავია), მელბურნი (ავსტრალია) და მანჩესტერი (ინგლისი).

და მაინც, ბერძნები იმედს არ ჰკარგავენ. საბერძნეთში უკვე იყიდება ჩანთები, მაისურები, ქუდები მომავალი ოლიმპიადის ემბლემით, მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ეს არ არის. მთავარი ის გახლავთ, რომ მთელი ქვეყანა ღრმადაა დარწმუნებული, რომ „დიდ იუბილეს“ სწორედ მან, ოლიმპიადების სამშობლომ უნდა უმასპინძლოს. ამ საკითხის დადებითი გადაწყვეტა სოკ-ის მიერ საბერძნეთის ისტორიული როლის აღიარება იქნება. მით უფრო, რომ მეორე საკითხი (ათენის დასახელება ოლიმპიადების მუდმივ ქალაქად) დღევანდელ ისტორიულ-ეკონომიკურ პირობებში ერთობ საეჭვოდ გამოიყურება.

ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მშვიდობის, მეგობრობისა და პატიოსანი სპორტული ბრძოლის იდეა თამაშების მთავარ დევიზს წარმოადგენდა. ბერძენ ხალხს სურს, რომ ძველი ელადის მიწაზე ეს იდეალები დღესაც პოპულარული იყოს.

# „ვარსკვლავთა“ აღმოჩენის გზა

**შეერთებულ** შტატებში უკვე მეთერთმეტედ ჩატარდა ოლიმპიური ფესტივალი. იგი ამჯერადაც სპორტული ძლიერების ეროვნულ დღესასწაულად იქცა და ბარსელონის ოლიმპიური თამაშების წინ, რომელიც სამი წლის შემდეგ ჩატარდება, ბევრი ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენი გამოავლინა. სხვათა შორის, თავის დროზე სწორედ ამ ფესტივალებმა მისცა დიდი სპორტის საგზური ისეთ გამოჩენილ ოსტატებს, როგორებიც არიან: წყალში მხტომელი გრეგ ლუგანისი, მძლეოსანი ფლორენს გრიფიტ-ჯოინერი, კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი...

ამას წინათ დამთავრებულმა ფესტივალმაც (ჩატარდა ოკლაჰომა-სიტიში) საკმაოდ ბევრი „ვარსკვლავი“ წარმოაჩინა. ერთი მათგანია 17 წლის მოკრივე ფრენკ პენიუ. აშშ-ს ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელმა პეტ ნეპიმ განაცხადა: „13 წელია რაც ასეთი უტეხი და შეუპოვარი მებრძოლი არ მინახავს“. პენიუ კოლორადოს შტატშია დაბადებული. კრივში მეცადინეობა დაიწყო 8 წლის ასაკიდან მამისა და ბიძის—ყოფილი პროფესიონალების ხელმძღვანელობით. ნეპის აზრით, რომელიც ახალგაზრდა მოკრივის გამოსვლას ფესტივალზე გულმოდგინედ ადევნებდა თვალს, პენიუ ჰგავს იმ ალმასს, რომელსაც დამუშავება სჭირდება. გამოცდილი მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ ბარსელონაში იგი ოქროს მედალს მოიპოვებს.

სპეციალისტებს პერსპექტიულ მძლეოსნად მიაჩნიათ 20 წლის სუზი ფეივორი და იმედს გამოთქვამენ, რომ მომავალ ოლიმპიადაზე საშუალო მანძილებზე რბენაში იგი ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება.

ფესტივალზე თავი გამოიჩინა 13 წლის ტანმოვარჯიშე გოგონამ კიმ ზმესკალმა. იგი უსათუოდ პირველი მნიშვნელობის ვარსკვლავი გახდება, — ამბობს ნაკრების უფროსი მწვრთნელი და დასძენს, რომ ბარსელონაში ამერიკელები ჩაიყვანენ „ყველაზე ორგანიზებულ და პერსპექტიულ გუნდს“.

სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც ფესტივალზე მთელი დატვირთვით მუშაობდა, მომავალ კანდიდატთა შორის ასახელებს, აგრეთვე, კალათბურთელ უონდ უორდს, ფრენბურთელ ნატალი ლოი ბოლს, ფიგურულ მოციგურავე კრისტი იამაგუტის, წყალში მხტომელ ელისონ მაისკს.

წარმოიდგინეთ ოლიმპიური ფესტივალების მნიშვნელობა: წელიწადში ერთხელ მწვრთნელებს საშუალება აქვთ აღმოაჩინონ 10-15 ახალი „ვარსკვლავი“. ამერიკის ოლიმპიური სპორტი რეზერვებს ამ გზით ავსებს.



# საშუალო ტექნიკისთვის

**ცოტა** ხნით იატაკქვეშეთს „შეხიზნულმა“ კარატემ ისევ იწყო მზის შუქზე გამოსვლა, ჩვენს ქვეყანაში უკვე ტარდება საკავშირო და სხვა მასშტაბის შეჯიბრებები. ამას წინათ, ერთ-ერთი ასეთი ტურნირი 25 ქალაქის გუნდების მონაწილეობით გაიმართა ყარაგანდაში.

ამ შეჯიბრებაში საქართველოს წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ, თუმცა ერთმა ქართველმა სპორტსმენმა მაინც მოიპოვა პირველი ადგილი, იგი ლვოვის სახელს იცავდა: თბილისელი კახა ბასილაია ამჟამად ამ ქალაქში სწავლობს და იქ აღმოსავლურ ორთაბრძოლათა ასოციაციის თავმჯდომარეა. ვარჯიში კი თბილისში, სამედიცინო ინსტიტუტის ჯგუფში დაიწყო (მწვრთნელები — ომარ რევიშვილი და სოსო დოლიძე).

კ. ბასილიამ (65 კგ) გაიმარჯვა კარატისტის ტექნიკაში ე. წ. „კატებში“, ხოლო ორთაბრძოლაში IV ადგილი დაიკავა.

• • •

სურათზე: კ. ბასილაია

# მედლის ორივე მხარე

(დასასრული)

მაინც რა გზას დავადგეთ? დარიგებისა და, მით უმეტეს, ჭკუის სწავლებისგან ღმერთმა დაგვიფაროს, მე მხოლოდ ჩემს პირად აზრს მოგახსენებთ.

სპორტის 5 ათეული სახეობიდან გამოიყოს ის ძირითადი სახეობები, რომლებიც ქართველი კაცის ბუნებას, ტრადიციებს, გულსა და სულს მიესადაგება. შევუქმნათ მათ საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მივიზიდოთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, უზრუნველვყოთ სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სამეცნიერო მომსახურებით, შესაბამისი მორალური და მატერიალური პირობებით. დიახ, ნუ მოგვერიდება სიტყვა „მატერიალურის“ ხმარება — სპორტული პროფესიონალიზმი შესაბამის ანაზღაურებას მოითხოვს.

ყველა საშუალება გამოვძებნოთ საერთაშორისო ფედერაციებთან კონტაქტების დასამყარებლად. აქ დიდი იმედი გვაქვს ჩვენი სახელმოხვეჭილი სპორტსმენების პირადი ურთიერთობებისა.

ხომ მოახერხეს ქართული ჭიდაობის მესვეურებმა ჩვენი ამ ეროვნული სახეობის საერთაშორისო ასპარეზზე გატანა (წელს, წლის ბოლოს ჩატარდება ღია საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში), ვინ იცის, იქნებ ქართული ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ თბილისში დაიდოს ბინა (ეს წინადადება უკვე წამოჭრა „ლელოს“ ფურცლებზე პ. ნაცვლიშვილმა). რატომაც არა, ძიუდოც ხომ ასე დაიწყო...

სერიოზულად ვიფიქროთ აგრეთვე ჩვენი მადლიანი მთა-ბარის გამოყენებაზე. სრულიად რეალურად მესახება საერთაშორისო ალპინისტური და ტურისტული კლუბების (ბაზების) გახსნა, საერთაშორისო ტურნირების მოწყობა სპორტის მთელ რიგ სახეობებში, საერთაშორისო კონტაქტების დამყარება სხვადასხვა ქვეყნებთან, სპეციალისტებისა და სპორტსმენების ექსპორტი და სხვა.

გონივრული და მომგებიანი იქნება, საქართველოში ჩამოსულ ტურისტებს მოვემსახუროთ სპორტული ბაზებით (ცურვა, ჩოგბურთი, აფროსნობა, საწყლოსნო სლალომი, წყლის თხილამურები, სპორტული ორიენტირება, საცხენოსნო ტურიზმი და ა. შ.).

განა არ დადგა დრო, სერიოზულად დავინტერესდეთ ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლების საკითხით—რად გვინდა 250-მდე სხვადასხვა რანგის, დაქვემდებარების და პროფილის სპორტული სკოლა, რომელთა უდიდეს ნაწილს სრულიად ელემენტარული პირობებიც კი არ გააჩნია (აღარას ვამბობ თანამედროვე მოთხოვნებზე). ასობით ათას მანეთს კი ძველებურად წყალს ვატანთ. ნუთუ უმჯობესი არ იქნება, შევქმნათ რამდენიმე ჭეშმარიტად ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლა და ყველა სახსრები მას მოვახმაროთ?

კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, ძალზე მტკივნეული საკითხი — მხედველობაში გვაქვს ვიწრო უწყებრივი ინტერესები. თუ ეროვნულ სუვერენიტეტზე ვმსჯელობთ, ბარემ ჩვენი შინაური საქმეებიც შეძლებისდაგვარად ჩვენვე მოვაგვაროთ. ამის საშუალებას მოგვცემს სპორტული ორგანიზაციების სრულ თვითდაფინანსებაზე და თვითანაზღაურებაზე გადასვლა. ერთ დროს ყველაზე პოპულარულმა ლოზუნგმა — „მასობრიობიდან — დიდი სპორტისკენ!“ კარგა ხანია დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა.

პროფესიული დიდი სპორტი და მასობრიობა — აი, დღევანდელი ძირითადი მიმართულება.

იქნებ ჩვენს წრეში ისიც გადავწყვიტოთ, ვინ დიდ სპორტს მიხედოს და ვინ მასობრიობას. სწორედ ამიტომაა საჭირო საქართველოს სპორტული ორგანიზაციების ერთიანობა და სრული კონსოლიდაცია.

რატომ არ შეიძლება დღესვე ვიფიქროთ (ეს ხომ უშუალოდ რესპუბლიკის პრეროგატივაა) სპორტულ დროშაზე და ჰიმნზე? ის კი არა, თბილისსაც თავისი სპორტული ღერბი და ჰიმნი უნდა ჰქონდეს.

ბიჭი ყირმელაშვილი.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

**საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი აცხადებს**

მოსწავლე სპორტსმენთა მიღებას 1989-90 სასწავლო წლისათვის სპორტის შემდეგ სახეობებში: ფეხბურთი, კრივი, მძლეოსნობა, ცურვა, ველოსპორტი, კლასიკური ჭიდაობა.

სასწავლებელში მიიღებიან 1973-1978 წლებში დაბადებული თანრიგოსანი, ასევე უთანრიგო, მაგრამ პერსპექტიული მოზარდები.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები 11 კლასის დამთავრების შემდეგ მიიღებენ საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატს, ხოლო ის სპორტსმენები, რომლებიც მოხვდებიან ნაკრებ გუნდებში, 11 კლასის დამთავრების შემდეგ 2 წლით რჩებიან სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღებენ საშუალო სპეციალური განათლების დიპლომს და ენიჭებათ კვალიფიკაცია პროფესიის მიხედვით „მწვრთნელი სპორტში“. ამასთან, დადგენილი ნიმუშის მიხედვით, მათ ეძლევათ სამკერდე ნიშანი. საკავშირო ნაკრების წევრებისათვის სწავლების ვადა შეიძლება გაგრძელდეს.

მოსწავლე სპორტსმენებს უზრუნველყოფენ საერთო საცხოვრებლით, ოთხჯერადი კვებით და სპორტული ფორმით. მოსწავლეთა კონტინგენტი მთლიანად სახელმწიფო კმაყოფაზეა.

მისაღები გამოცდები იწარმოებს დილის 10 საათიდან 14 საათამდე სახეობების მიხედვით შემდეგ რიცხვებში: ფეხბურთი — 24 აგვისტო, კრივი — 22 აგვისტო, მძლეოსნობა — 23 აგვისტო, ცურვა — 24 აგვისტო, კლასიკური ჭიდაობა — 25 აგვისტო.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღიურად. სასწავლებლის მისამართია: ხობი, რუსთაველის სანაპირო № 1, ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი. ტელეფონი: 30-16, 30-15, 27-63.

## „სპორტლოტო“

**კვირას**, 20 აგვისტოს, მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ 1989 წლის მორიგი, 34-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 11, 12, 28, 29, 32, 34.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 12, 13, 29, 33, 34.

## „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 33-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 13-16 აგვისტოს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.403.848 ვარიანტი; 13 შედეგის გამოცნობისთვის (17) მოგება 3.297 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (608) — 184 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (7.481) — 52 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 30.017 ვარიანტი. 13-0, 12-45, 11-485.

33-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 5 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი**
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 ; → 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 00384